საქართველოს მთავრობის

დადგენილება №204

2024 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/07/2016, 300160070.10.003.019366) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ სურსათის დაფასოება ხდება რეალიზაციის ადგილებში, სავალდებულოა, საბოლოო მომხმარებელს მიეწოდოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები, რომლებიც უნდა განთავსდეს გამოსაჩენ (შესამჩნევ) ადგილზე, გარკვევით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**